ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-15

„ 18 „ იანვარი 2023 წ.

ქალაქ მადრიდში, 2023 წლის 18-22 იანვარს ,,საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა FITUR, 2023"-ში მონაწილეობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2022 წლის 20 დეკემბრის № 06-01223543092-21 წერილის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის, ქალაქ მადრიდში, 2023 წლის 18-22 იანვარს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მონაწილეობის მიზნით (სტუმრების მიღება) გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ევრო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროგრამით ,,თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა" (კოდი: 04 08) გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 1500 (ათას ხუთასი) ევროს ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიების გატარება.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს კახაბერ გულედანს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200